



ევროკავშირი საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



KFW



PEM CONSULT



ERM



საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია



სამართლის, რეგულირებისა და ინფორმაციის სამსახური

პროექტი დაფინანსებულია KFW-სა და საქართველოს მთავრობის მიერ, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით

პროექტს ახორციელებენ წამყვანი კომპანიები, PEM Consult და ERM

ნავაგაციის ოპერატორები

# კარგი დაგეგმვის საჭიროება



2016 წლის ნოემბრიდან, ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტის, „დამხმარე ღონისძიებების კონსულტანტის“, გუნდი ატარებს სასწავლო სერიათა კურსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ყველა მუნიციპალიტეტისთვის. პროექტის გუნდის ლიდერი, ბ-ნი რენე ბუსტენი, ინტერვიუში გვესაუბრება ტრენინგ პროგრამაზე

**ბატონო რენე, რა არის აღნიშნული სასწავლო პროგრამის მთავარი მიზანი და დანიშნულება?**

საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია შეიმუშაოს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა, რათა უკეთ მოახერხოს მუნიციპალური ნარჩენების მართვა და კონტროლი, ხოლო მომავალში - გადამუშავება. ვინაიდან, ნარჩენების შეგროვება (მუნიციპალური ვალდებულება) და ნარჩენების საბოლოო განთავსება (მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის ვალდებულება) ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, ლოგიკურია, რომ, როგორც კომპანიის დამხმარე ღონისძიებების კონსულტანტები, ვეხმარებით ჩვენი პროექტის რეგიონების - იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მუნიციპალიტეტებს, აღნიშნული გეგმების მომზადებაში.

**მომდევნო წლებში, ნარჩენების მართვის კუთხით, რა საკითხები იქნება ყველაზე პრიორიტეტული მუნიციპალიტეტებისთვის?**

ჩვენ ახლა ვიმყოფებით სასწავლო პროგრამის შუა ნაწილში და ნათლად ვხედავთ, რას მიიჩნევენ მუნიციპალიტეტები მთავარ პრიორიტეტებად. უპირველეს ყოვლისა, ეს არის მოსახურების გაუმჯობესება, რისთვისაც აუცილებელია ახალი აღჭურვილობა. მუნიციპალიტეტები ასევე აღნიშნავენ, როგორც არსებული ტექნიკის განახლების საჭიროებას, ასევე, ტექნიკური აღჭურვილობის შეძენის აუცილებლობას. ნარჩენების მართვის გეგმებით, გათვალისწინებული იქნება ნარჩენების შეგროვების სისტემები, რომლებიც მოემსახურება, როგორც ზოგადად მოსახლეობას ასევე, ოურიდიულ პირებს, სასტუმროებისა და ოფისების სახით. ასევე აღსანიშნავია, რომ სასტუმროებმა და ოფისებმა მათთვის განეული სერვისების საფასური უნდა გადაიხადონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ხარჯების დაფარვა მოსახლეობას მოუწევს. მეორე პრიორიტეტია ნავაგაციის ოპერატორების განსათავსებელი ნარჩენების რაოდენობის მინიმუმამდე შემცირება. აღნიშნულის მისაღწევად ერთ-ერთი ყველაზე მარტივი გზაა, ბაღებსა და პარკებში ნარმოქმნილი მწვანე ნარჩენებისა და ოჯახებში წარმოქმნილი ორგანული ნარჩენების კომპოსტირება. რეციკლირებადი მასალების - მინის, ქალაქისა და პლასტიკის, სეპარირებული შეგროვება არის განსათავსებელი ნარჩენების შემცირების

კიდევ ერთი მეთოდი. მესამე პრიორიტეტია ნარჩენების მოსაკრებლის მარტივი და სამართლიანი სისტემის შექმნა, რაც უნდა გადაიხადონ მოქალაქეებმა (სასტუმროებმა, მაღაზიებმა, ოფისებმა და ა.შ.), ნარჩენების შეგროვებისა და უსაფრთხოდ განთავსებისათვის.

**2019 წლიდან, სეპარირებული შეგროვება და რეციკლირება სავალდებულო გახდება. მუნიციპალიტეტები ამისთვის მზად არიან?**

ამ კუთხით გარკვეული საქმიანობა უკვე დაწყებულია, მაგ., პლასტიკის ბოთლების შეგროვება ქუთაისში. თუმცა, ზოგადად, პასუხი არის არა, მუნიციპალიტეტები ამისთვის მზად არ არიან. იზრდება გაცემა იმისა, რომ ნარჩენების სეპარირებული შეგროვება ხელს უწყობს ნავაგაციის განთავსების ხარჯების შემცირებას და, რომ სეპარირებული შეგროვების დაწყება, მხოლოდ კონტეინერების რაოდენობაზე არ არის დამოკიდებული; ეს უფრო უკავშირდება საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და ამ მიმართულებით საჭიროა გრძელვადიანი მუშაობა. არსებობს ერთი კრიტიკული საკითხი: რეციკლირების ჯაჭვი (შეგროვება, დახარისხება და გასუფთავება, მასალების ხელახლა გამოყენება) მუშაობს მხოლოდ მაშინ, თუ საუბარია დიდი მოცულობაზე. გადამამუშავებელ ქარხნებს ესაჭიროებათ დიდი რაოდენობით ნედლეულის უწყვეტი ნაკადი, რათა მათი საქმიანობა იყოს მომგებიანი. ასეთი მოცულობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ რეციკლირებადი მასალები გროვდება რამდენიმე მუნიციპალიტეტში. თუ ისინი ერთმანეთთან ითანამშრომლებენ და მასალებს პირდაპირ გადამამუშავებელ კომპანიებს მიჰყვებიან, შეეძლება კარგი საფასურის მიღება. ხოლო, თუ თანამშრომლობას ვერ შეძლებენ, შუამავლებისგან (კერძო ან სახელმწიფო კომპანიებისგან) მიღებული ფასი, შეიძლება იყოს ნაკლები, ვიდრე გეგმიური. **გთხოვთ, შეაჯამოთ ძირითადი მიღწევები. რაზე გამახვილდება ყურადღება სწავლების ბოლო ეტაპზე?**

დღემდე, ანუ 2017 წლის ივნისამდე, მუნიციპალიტეტებთან ვმუშაობდით სტრატეგიული დაგეგმარების ძირითად პრინციპებზე, ნარჩენების შეგროვების კუთხით, მუნიციპალიტეტებში არსებულ მდგომარეობაზე და მათ გეგმებში მიზნების დასახვაზე. ზოგიერთი მუნიციპალიტეტი სხვებზე უკეთ მუშაობს, რაც ნორმალურია. ერთი-ორი მათგანი კი - ვერ ხედავს მსგავს

## პროექტის საინფორმაციო ბიულეტენი #2

იმერეთის რეგიონის ურნალისტები და მედია ეცნობიან ნარჩენების მართვის ახალ, რეგიონულ სისტემას	33-2
უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო ნავაგაციის 200-ზე მეტი თანამშრომლისთვის	33-2
მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების მომზადების ტრენინგი - მუალეური მიმოხილვა	33-3
საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის OHS და EMS ვალდებულებები	33-4
ნარჩენების მართვის სისტემა საქართველოში - ჩართული მხარეების ძირითადი პასუხისმგებლობები	33-4
საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის განახლებული ვებ-გვერდი	33-5
საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში - არსებული მდგომარეობა და მომავალი	33-5
ახალი ნავაგაციის ოპერატორები	33-6+7

კარგი დაგეგმვის საჭიროებას და ზოგადად გეგმების აუცილებლობას და შეწყვეტეს სწავლებაში მონაწილეობის მიღება, რაც მოსალოდნელი იყო. მომდევნო ეტაპზე, მუნიციპალიტეტებში არსებულმა სამუშაო ჯგუფებმა, მუშაობა უნდა განაგრძონ, გეგმები კონკრეტულ საქმიანობად აქციონ და სამოქმედო წინადადებებზე დაყრდნობით, დისკუსიები გამართონ მუნიციპალიტეტში არსებულ დაინტერესებულ მხარეებთან, როგორცაა: კერძო ბიზნესი, ტერიტორიის ინდუსტრია, არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფები, სკოლები და ახალგაზრდობა. ეფექტური განხორციელების მიზნით, აუცილებელია, გეგმების მომზადების პროცესში ჩაერთოს, საზოგადოების ყველა მნიშვნელოვანი ჯგუფი - ეს მათ აქცევს თანავტორებად და გეგმის მიმართ ერთგულებას ჩაუნერგავს. ჩვენი, როგორც პროექტის გუნდის, მთავარი გამოწვევაა, მუნიციპალიტეტებში გავავსოთ შემდეგი საკითხები: I) ნარჩენების მართვის პრინციპები, II) მოქალაქეებისა და საზოგადოების ჩართულობის აუცილებლობა და III) კარგი დაგეგმვის საჭიროება.

პროექტის ახალი ამბები

# იმერეთის რეგიონის მედიის წარმომადგენლები ნარჩენების მართვის ახალ, რეგიონულ სისტემას ეცნობიან

„ამ რეგიონში მსგავსი სემინარები უფრო ხშირად უნდა გამართოთ, აგრეთვე საქართველოს სხვა რეგიონებშიც.“

ჟურნალისტის კომენტარი აჯამებს, თუ როგორ შეაფასა მონაწილეთა უმეტესობამ, „მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის“ სემინარი. 13 - 14 სექტემბერს, წყალტუბოში გამართულ სემინარში მონაწილეობას იღებდა, იმერეთის რეგიონის წამყვანი ტელევიზიებისა და სხვა რეგიონული მედია გამოცემების 12 ჟურნალისტი. საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის წარმომადგენელმა, ხათუნა ჩიკვილაძემ, მონაწილეებს გააცნო ნარჩენების მართვის კოდექსი და 2016 - 2030 წლების, ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია. აღნიშნული მარეგულირებელი ჩარჩო აყალიბებს, თუ როგორ შეიცვლება ნარჩენების მართვის სისტემა მომდევნო ათწლეულის განმავლობაში, საქართველოს ყველა რეგიონში. 2013 წლიდან, საქართველოს ნარჩენების მართვის კომპანიას გადაეცა პასუხისმგებლობა ნარჩენების განთავსების

ობიექტებზე და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, ახალი ნაგავსაყრელის ინფრასტრუქტურის მოწყობაზე. ქალბატონმა ხათუნამ მიმოიხილა აღნიშნული პერიოდიდან დღემდე კომპანიის მიერ განეული მასშტაბური სამუშაოები და არსებული მიღწევები. მონაწილეთა უმრავლესობისთვის ეს იყო სრულიად ახალი ინფორმაცია. მონაწილეები ესტუმრნენ სამტრედიის განახლებულ მუნიციპალურ ნაგავსაყრელს, რომელსაც მართავს კომპანია. ვიზიტმა აჩვენა, პრაქტიკაში როგორ ხდება რეაბილიტირებული ნაგავსაყრელების მართვა. ვიზიტის დასრულების შემდეგ, ერთ-ერთმა მონაწილემ განაცხადა: „ხშირად უნდა მოაწყოს მსგავსი ტურები მოქალაქეებისთვის, რათა აჩვენოთ როგორ ხდება ნაგავსაყრელის ოპერირება და რა ღონისძიებები ტარდება გარემოს დასაცავად.“ სემინარი ორგანიზებული იყო გერმანული კომპანია PEM Consult-ისა და საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის

კომპანიის მიერ, ქუთაისის „მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტის“ ფარგლებში.



დისკუსიები სამტრედიის ნაგავსაყრელზე



ახალი ამბები პირდაპირ ნაგავსაყრელიდან

## უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო ნაგავსაყრელის 200-ზე მეტი თანამშრომლისთვის

ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტის, "დამხმარე ღონისძიებების საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში", კომპანიის თანამშრომლებისთვის ჩატარდა "პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების" ტრენინგი. თბილისში, ტრენინგის ფარგლებში, 2017 წლის 27-31 მარტის ჩათვლით, ექსპერტების მიერ განხორციელდა შპს "საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის" ცხრა რეგიონული ოფისის ნაგავსაყრელის მენეჯერის გადამზადება.

ტრენინგზე მონაწილეებმა ისწავლეს, როგორ შეაფასონ ნაგავსაყრელებზე არსებული საფრთხეები და რისკები, როგორ შეიმუშაონ პრევენციის სტრატეგიები და დაეგვიანონ შემარბილებელი ღონისძიებები. სასწავლო კურსის მომზადებისას, გამოყენებულ იქნა მიღებული საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველოში არსებული რეგულაციები. კომპანიის 200-ზე მეტი რეგიონული თანამშრომლის ყოველდღიურ საქმიანობაში უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის წესების დასაზღვრად და მათი სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად, განისაზღვრა და დაიგეგმა შემდეგი კონკრეტული ნაბიჯები :

1. შემუშავდება სახელმძღვანელო, სადაც მოცემულია OHS ("პროფესიული ჯანმრთელობა და შრომის უსაფრთხოება") წლიური სამოქმედო გეგმის მომზადების ინსტრუქციები. მომდევნო თვეების განმავლობაში მომზადდება 2018 წლის სამოქმედო გეგმა.
2. შემუშავდება OHS ("პროფესიული ჯანმრთელობა და შრომის უსაფრთხოება") მონიტორინგის სისტემა, რომელიც შეამოწმებს რამდენად სწორად ხდება ახალი წესებისა და ზომების ადგილზე დანერგვა.
3. კომპანიის ნაგავსაყრელებზე არსებული პერსონალური დამცავი აღჭურვილობა (PPE) შემოწმდება ახალი ტექნიკური მახასიათებლების შესაბამისად.

## შრომის უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის კუთხით, საქართველოში არსებული ვითარება

სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს საქართველოს შრომის კოდექსი არეგულირებს, თუმცა, ქვეყანაში არ არსებობს ზემოთხსენებული საკითხის მაკონტროლებელი, განცალკევებული კანონი. პროფკავშირები და ადამიანის უფლებათა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციები, ქვეყნის ერთ-ერთ პრობლემად, ხშირად, სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოების მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის არარსებობას ასახელებენ. საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება ხშირად აქვეყნებს ინფორმაციას სამუშაო ადგილზე მიღებული დაზიანებებისა და ფატალური შემთხვევების შესახებ. ეფექტური მონიტორინგის სისტემის შექმნა, ერთ-ერთია იმ ვალდებულებებს შორის, რომელიც ქვეყანამ უნდა შეასრულოს ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში.



ტრენინგის მონაწილეები კომპანიის დირექტორთან, ბ-ნ. გიორგი შუხოვილიანთან (მარცხნიდან მე-7) და მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტის, დამხმარე ღონისძიებების კონსულტანტის გუნდის ლიდერთან, ბ-ნ რენე ბუსტენთან ერთად (მარჯვნიდან მე-7), გამოცდის დასრულების შემდეგ.



# მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების მომზადების ტრენინგი - შუალედური მიმოხილვა

პროექტის ახალი ამბები



საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ყველა მუნიციპალიტეტის ვალდებულებაა 2017 წლის დასასრულამდე შეიმუშაონ 5 წლიანი ნარჩენების მართვის გეგმა, რომელიც უნდა მოიცავდეს 2018-2022 წლებს. ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტის ფარგლებში, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მოთხოვნით, დამხმარე ღონისძიებების ექსპერტები, 2016-2017 წლებში ჩაატარებენ დაახლოებით 10 სასწავლო სემინარს - იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში არსებული ყველა მუნიციპალიტეტებისთვის.

2017 წლის ივნისისთვის, პროექტის რეგიონის მუნიციპალიტეტებს უკვე ჩაუტარდათ 7 სასწავლო სესია და დამატებითი კონსულტაციები მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების მომზადების შესახებ, რომელსაც უძღვებოდა უცხოელი ექსპერტების გუნდი, კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად.

ტრენინგის მიღწევების შუალედური მიმოხილვა, რომელიც ჩატარდა 2017 წლის ივნისში, გვიჩვენებს, რომ მრავალმა მუნიციპალიტეტმა უკვე მოახერხა გეგმის სამუშაო ვერსიის გარკვეული ნაწილების მომზადება და წარმოადგინა განხილვებისა და დისკუსიებისთვის. გეგმის ის თავები, სადაც აღწერილია სამართლებრივი ჩარჩოები და ნარჩენების მართვის კუთხით არსებული მდგომარეობა, უმეტესწილად, უკვე მომზადებულია. ყველა მუნიციპალიტეტი შეეცადა მოეწოდებინა მეტ-ნაკლებად დეტალური ინფორმაცია, შეგროვებული ნარჩენების რაოდენობისა და შემადგენლობის, აგრეთვე კონტეინერებისა და სატრანსპორტო საშუალებების შესახებ. არსებული ტექნიკის მდგომარეობა სრულყოფილად არ არის შეფასებული და საჭიროა მისი დასრულება. რამდენიმე მუნიციპალიტეტმა აღნიშნა, რომ რიგ შემთხვევებში, მოსახლეობა თავად აზიანებს კონტეინერებს, დაუდევრობის ან არასწორი გამოყენების გამო.

მოსახლეობის დინამიკისა და ტურისტების რაოდენობის პროგნოზი, რაც სამომავლო დაგეგმვის საფუძველია, გვიჩვენებს, რომ სანდო მონაცემების არარსებობის გამო, მუნიციპალიტეტები ვარკვეული სირთულეების წინაშე დგანან. ჩატარებული სწავლების მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო აღნიშნული ხარვეზის ამოვსებას, თუმცა, საჭიროა მეტი ძალისხმევა და დახვეწა, რათა საკითხი ბოლომდე დამუშავდეს და რეალურ გეგმას თან დაერთოს.

შეგროვებული მოსაკრებლების საკითხი დეტალურად იქნა განხილული სასწავლო კურსის განმავლობაში. აღნიშნული თემის მნიშვნელობა მომავალში უფრო გაიზარდება და საჭირო იქნება დამატებითი ძალისხმევა და ინტენსიური მუშაობა, საკითხის მეტი სიცხადისთვის. ერთის მხრივ, საჭიროა სათანადო გაანგარიშება ზუსტ მონაცემებსა და ციფრებზე დაყრდნობით, ხოლო მეორე მხრივ, საჭიროა მოქალაქეთა დარწმუნება, რომ ნარჩენების მოსაკრებელი რეგულარულად გადაიხადონ.

გეგმის მოქმედების ხუთწლიანი პერიოდის განმავლობაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გარკვეული ტიპის ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებას, რომელიც, სამართლებრივი დებულებების შესაბამისად, უნდა დაიწყოს არაუგვიანეს 2019 წლისა. ამუშაოდ, სხვა საკითხებთან

ერთად, განიხილება საჯარო შეგროვების პუნქტების მოწყობის იდეა, სადაც მოსახლეობას საშუალება ექნება, მოიტანოს გარკვეული ტიპის წყაროზე სეპარირებული ნარჩენები, შემდგომში სათანადოდ დამუშავების მიზნით, თავიდან აიცილოს მათი ნაგავსაყრელზე განთავსება და ნაცვლად ამისა, დაიწყოს რეციკლირება.

ნარჩენების განთავსება ადგილობრივ არსებულ ნაგავსაყრელებზე შეწყდება ეტაპობრივად, როგორც კი მოწყობა და ოპერირება დაიწყებს ახალი რეგიონული ევროსტანდარტების შესაბამისი ნაგავსაყრელი. ასე რომ, მომავალი სწავლებისა და ნარჩენების მართვის გეგმის მომზადების პროცესში, აღნიშნულ თემას სათანადო ყურადღება დაეთმობა.

დასკვნა: მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გეგმების დასასრულელად ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო უნდა შესრულდეს, მათ შორის - ვალდებულება საჯარო მოსმენების მოწყობის შესახებ, არსებობს ბევრი იმედისმომცემი ნიშანი, რომ მუნიციპალიტეტებს კარგად ესმით ამ საკითხის მნიშვნელობა და იციან რა გავლენა ექნება პრობლემების გადაჭრაზე მუნიციპალურ განვითარებასა და მოსახლეობაზე.

## სასტარტო შეხვედრა

## ვიზიტი მუნიციპალიტეტებში

## სამუშაო შეხვედრა PR-თან დაკავშირებით



ქუთაისის მერი, ბ-ნი. შოთა მურღულია სასტარტო შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა წყალტუბოში, 2016 წლის 17 ნოემბერს

„დამხმარე ღონისძიებების კონსულანტის“ გუნდის ვიზიტი სამტრედიისში, 2017 წ. ივნისი

PR სემინარზე მონაწილეები ასრულებენ პრაქტიკულ დავალებას; 14-15 ივნისი, 2017

## საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის ვალდებულება OHS და EMS კუთხით

კომპანიის ახალი ამბები



კომპანიის დირექტორი, გიორგი შუხოშვილი, ხელს აწერს OHS და EMS პოლიტიკას

ახალი რეგიონული ნაგავსაყრელები დაიგეგმება და აშენდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, უსაფრთხოების ზომების სრული დაცვით. თუმცა, ნაგავსაყრელის ოპერირების ხარისხი განაპირობებს, რეალურად იმუშავებს თუ არა, აღნიშნული უსაფრთხოების ზომები. დამხმარე ღონისძიებების კონსულტანტის საქმიანობის ძირითადი ელემენტია უზრუნველყოფა იმისა, რომ კომპანიას გააჩნდეს, ნაგავსაყრელის სათანადოდ ოპერირებისთვის საკმარისი ცოდნა და ინსტრუმენტები. პროექტს შემოაქვს ხარისხის მართვისა და კონტროლის ორი საერთაშორისო სტანდარტი: OHSAS 18001 პროფესიული

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისთვის და ISO 14001 - გარემოს დაცვის კუთხით. აღნიშნული სტანდარტები, ანუ მართვის სისტემები, ადგენენ შიდა წესებს, უზრუნველყოფენ შესაბამისი რესურსების არსებობას საშუალო სათანადოდ შესასრულებლად და ითხოვენ, რომ კომპანიამ რეგულარულად გამოაქვეყნოს ინფორმაცია არსებული მდგომარეობისა და ინციდენტების შესახებ. მართვის სისტემას შემოაქვს „უწყვეტი გაუმჯობესების“ მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს შემდგომ საჭიროებებს მუშაობის გაუმჯობესების კუთხით. აუცილებელია აღნიშნული ვალდებულების შესრულება ხელმძღვანელობის მხრიდან; შესაბამისად, კომპანიის დირექტორმა ხელი მოაწერა „OHS და EMS პოლიტიკას“ (შრომის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვითი მართვის სისტემის პოლიტიკის დოკუმენტი), სადაც განერილია ძირითადი პრინციპები. შემდეგი ნაბიჯებია თანამშრომელთა სწავლება და ოპერირების შიდა წესების შემუშავება, მონიტორინგი და შიდა და გარე ანგარიშგება. აღნიშნული დოკუმენტების ჩამოტვირთვა შესაძლებელია კომპანიის ვებ-გვერდიდან. მართვის სისტემების სრულად დანერგვისა და სამი წლის განმავლობაში მუშაობის

შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება მათი სერტიფიცირება. ეს იქნება დამატებითი გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს, მიმდინარე სამუშაოების მაღალი ხარისხით შესრულებასა და უწყვეტ გაუმჯობესებას.




სამშენებლო სამუშაოები რუსთაველი - წყალგაუმტარი მემბრანის მონტაჟი



შრომის უსაფრთხოება - ნაგავსაყრელის ოპერირების უმნიშვნელოვანესი საკითხი

## ნარჩენების მართვის სისტემა საქართველოში - ჩართული მხარეების ძირითადი პასუხისმგებლობები






### მოკლე ინფორმაცია კომპანიის შესახებ

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მართვაში არსებული შპს "საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია" დაარსდა 2012 წლის 24 აპრილს
- სახელმწიფო ფლობს კომპანიის 100%-იან წილს
- კომპანია მართავს 54 მუნიციპალურ ნაგავსაყრელს
- კომპანიაში დასაქმებულია 277 ადამიანი (თბილისის სათაო ოფისში - 58, ხოლო 9 რეგიონულ ოფისში - 219)
- კომპანია პასუხისმგებელია მყარი ნარჩენების მართვაზე, საქართველოს მასშტაბით (ქალაქ თბილისისა და აჭარის რეგიონის გარდა).

## საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის განახლებული ვებ-გვერდი

2013 წლის შემდეგ, გასული ოთხი წლის განმავლობაში, კომპანია აქტიურად მუშაობდა და ბევრ რამეს მიაღწია. აღდგენილია 54 ნაგავსაყრელიდან 30, დაიხურა 21 ნაგავსაყრელი და აშენდა 5 გადაამტვირთი სადგური.

გასული წლიდან, საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია გადაერთო მის მეორე მთავარ ამოცანაზე - ახალი რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობაზე, ევროსტანდარტების შესაბამისად. ამასთანავე შეიცვალა კომპანიის კომუნიკაციის მიდგომა და შეიქმნა მისი საქმიანობის, მიღწევებისა და სამომავლო ამოცანების ახლებური პრეზენტაცია.




გთხოვთ, ეწვიოთ ახალ ვებ-გვერდს და მოიძიოთ სასარგებლო ინფორმაცია კომპანიისა და საქართველოში ნარჩენების მართვის სისტემის შესახებ.

[www.waste.gov.ge](http://www.waste.gov.ge)



## საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში - არსებული მდგომარეობა და მომავალი

ჯამში, ორივე რეგიონში მდებარეობს 12 მუნიციპალური ნაგავსაყრელი. 2013 წლამდე, თითქმის ყველა მათგანი ცუდად იმართებოდა, ყოველგვარი გეგმისა და მინიმალური გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვის გარეშე. 2013 წლიდან, ყოფილი მუნიციპალური ნაგავსაყრელები სამართავად გადაეცა კომპანიას. 2013-დან 2016 წლამდე, კეთილმოეწყო 8 და დაიხურა 4 ნაგავსაყრელი. დღეს მუნიციპალური ნაგავსაყრელები ორივე რეგიონის ნარჩენების განთავსების სისტემის მთავარი ხერხემალია. მომავალ წლებში ეს შეიცვლება. რეგიონული ნაგავსაყრელის ამოქმედების შემდეგ, ყველა მუნიციპალური ნაგავსაყრელი დაიხურება და ცაგერის, ამბროლაურის, ტყიბულის, საჩხერისა და სამტრედიის ყოფილ ნაგავსაყრელებზე, აშენდება გადაამტვირთი სადგურები. მომავალში დიდ გამოწვევად რჩება უკანონო ნაგავსაყრელების საკითხი. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, ყველა მუნიციპალიტეტმა უნდა გამოიჩინოს დიდი ძალისხმევა, დახუროს ნაგავსაყრელები, როგორც შესაძლებელია გამოასწოროს გარემოსათვის მიყენებული ზიანი და უზრუნველყოს ნარჩენების შეგროვების მომსახურების გავრცელება სოფლების ტერიტორიაზე.



### საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია იმერეთში


ქუთაისის ოფისი  
თანამშრომლები: 29  
ენვეა 9 ნაგავსაყრელის ადმინისტრირებას: საჩხერე, ჭიათურა, ტყიბული, სამტრედია, თერჯოლა, ზესტაფონი, ხარაგაული, ხონი, ქუთაისი-ნიკეა  
საკონტაქტო პირი: ვიორჯი საყვარელიძე (უფროსი კოორდინატორი) - ტელ.: 599 958 161; ფალიაშვილის ქუჩა 33, ქუთაისი

### საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში

ამბროლაურის ოფისი  
თანამშრომლები: 13  
მართავს 3 ნაგავსაყრელს: ცაგერი, ონი, ამბროლაური  
საკონტაქტო პირი: გრიგოლ მომცემლიძე (უფროსი კოორდინატორი) - ტელ.: 551 15 88 66; აღმამენებლის ქუჩა 21, ამბროლაური

ახალი  
ნაგავსაყრელი

## ახალი ნაგავსაყრელი ახალი ნაგავსაყრელის გეგმა



### ახალი ნაგავსაყრელის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის (გზშ) საჯარო განხილვა

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გზშ-ის საჯარო განხილვა ჩატარდა 2017 წლის 11 მაისს, თერჯოლის მუნიციპალიტეტში. ქუთაისის „მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის“ პროექტის ფარგლებში, საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ აღნიშნულ შეხვედრაზე მოინვია რეგიონული მთავრობის წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტები და სოფელ ჭოგნარისა და გოდოგანის მოსახლეობა.



საჯარო მოსმენას ესწრებოდნენ: კომპანიის ხელმძღვანელობა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის გუბერნატორები, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები და სოფელ ჭოგნარისა და გოდოგანის მოსახლეობა.


გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის პრეზენტაციაზე, ადგილობრივ მოსახლეობას შესაძლებლობა ჰქონდა, ინფორმაცია მიეღო ახალი რეგიონული ნაგავსაყრელის შესახებ და გაცნობოდა გარემოზე ზემოქმედების ანალიზს. ყველა არსებულ შეკითხვაზე მონაწილეებმა მიიღეს ამომწურავი პასუხები და ახსნა-განმარტებები, კომპანიის

დირექტორისგან და დოკუმენტის მომზადებასა და საბოლოო შეფასებაში ჩართული სამინისტროების ექსპერტებისგან. შეხვედრაზე კომპანიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ განიხილავენ ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას ნაგავსაყრელის მშენებლობისა და მონიტორინგის პროცესში.

### გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პროცედურები

გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (გზშ) არეგულირებს „საქართველოს კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ.“\* მოქალაქეებს უფლება აქვთ გაეცნონ გზშ-ის ანგარიშს, დასვან შეკითხვები და წამოჭრან პრობლემები საკუთარი მოსაზრებიდან გამომდინარე.

მაისი 2017



საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის დირექტორის მრჩეველი, ქ-ნი ხათუნა ჩიკვილაძე, ადგილობრივ მოსახლეობას აცნობს გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტს.

\* <https://matsne.gov.ge/en/document/download/20206/14/en/pdf> (English)  
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/20206/13/ge/pdf> (Georgian)



## ახალი ნაგავსაყრელი - ფაქტები და ციფრები

- ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტის ითვალისწინებს ახალი რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობას და ნიკვას ნაგავსაყრელის დახურვას, 2015-2019 წლების განმავლობაში.
- ახალი ნაგავსაყრელი მოემსახურება იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებს.
- ახალი რეგიონული ნაგავსაყრელი აშენდება ევროსტანდარტების დაცვით.
- იგი მოემსახურება 700 000 მოქალაქეს, სანამ 2034 წელს არ დაიხურება გეგმის შესაბამისად
- სრული საინვესტიციო ღირებულება: 26 მილიონი ევრო

### უჯრედი - ნაგავსაყრელის „სამუშაო ზედაპირი“

ნარჩენები ჩანს მხოლოდ იქ, სადაც მოქმედი უჯრედი მდებარეობს, ისიც მცირე ხნით, სანამ დღის ბოლოს ნიადაგით არ დაიფარება! ტერიტორიის დანარჩენი ნაწილი, ძველი უჯრედების ჩათვლით, კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად არის გადაფარული!



ახალ ნაგავსაყრელზე, რომლის საერთო ფართობია 54,000 კვადრატული მეტრი, იგეგმება, მაქსიმუმ, 1000 კვ.მ-იანი „უჯრედის“ მონყობა (ანუ 33x33 მეტრი).

## კითხვები და პასუხები

### არის თუ არა რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობა მომგებიანი?

დიახ, ევროსტანდარტების შესაბამისი ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობის საინვესტიციო ხარჯები ძალიან მაღალია. ტექნიკური, ოპერატიული და ლოჯისტიკური თვალსაზრისით, არსებობს ამ სამი ფაქტორის კომბინაციათა ოპტიმალური ზღვარი, რაც უზრუნველყოფს მინიმალურ ხარჯებს, მაგ.: ერთი ტონა ნარჩენების განთავსების ხარჯებსა და მოსახლეობის მიერ მოსაკრებელში გადასახდელ ხარჯებს. ასე რომ, პრაქტიკული თვალსაზრისით, ნაგავსაყრელის დაგეგმვისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ფაქტორები:

- ნაგავსაყრელის საერთო მოცულობა (ტონა ნარჩენი დროის გარკვეულ მონაკვეთში)
- რეგიონში წლიურად წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა, შეგროვების ხარჯები

- ტრანსპორტირების საშუალო მანძილი და შედეგად, საშუალო ხარჯი ერთ ტონა ნარჩენებზე
  - ნაგავსაყრელის წლიური ოპერირების ხარჯები
  - ნაგავსაყრელის მოვლის, დახურვის, შემდგომი მოვლისა და კონტროლის ხარჯები
- ბევრ დასავლურ ქვეყანაში არსებული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დიდ რეგიონში ერთი ნაგავსაყრელის კონცეფცია არის უფრო მომგებიანი, იმის გათვალისწინებით, რომ ნაგავსაყრელის საერთო მოცულობა და ეკონომიკური ვადა არის გაცილებით მეტი და იგი კომბინირებულია გადამტვირთი სადგურების ქსელთან. ეს არის ნარჩენების განთავსების ხარჯ-ეფექტიანი გზა, რომელიც მინიმუმამდე ამცირებს გარემოზე უარყოფით ზეგავლენას.

### არის თუ არა გადამტვირთი სადგურების მშენებლობა და რეგიონულ ნაგავსაყრელზე ნარჩენების ტრანსპორტირება მომგებიანი?

დიახ, როგორც წინა პარაგრაფში იყო აღწერილი, 4-5 მცირე ზომის ნაგავსაყრელის ნაცვლად, რეგიონ(ებ)ში ერთი დიდი რეგიონული ნაგავსაყრელის ოპერირება, ხელს უწყობს ხარჯების მინიმუმამდე შემცირებას. ასე რომ, ჭიშკრის გადასახადი, ანუ ერთი ტონა ნარჩენების საბოლოო განთავსების ხარჯები,

რომელიც უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტმა, საბოლოოდ უფრო ნაკლები გამოდის, მცირე ზომის ევროსტანდარტული ნაგავსაყრელების ჭიშკრის გადასახადთან შედარებით, თუ მოქმედებს ერთი დიდი ნაგავსაყრელი, გადამტვირთი სადგურების ქსელთან ერთად.

## ახალი ნაგავსაყრელი - განხილვები და დიალოგი მოსახლეობასთან

ახალი ნაგავსაყრელი

2016-2017 წლების განმავლობაში, „ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტის“ ფარგლებში, გაიმართა რამდენიმე საჯარო შეხვედრა დაინტერესებული მხარეებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით. საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ, პროექტის კონსულტანტი კომპანიის ექსპერტებთან ერთად, ამომწურავი პასუხები გასცა მოსახლეობის მიერ დასმულ კითხვებს.

- 2016 წლის 14 მარტი - საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიისა და საკონსულტაციო კომპანიების (აღმასრულებელი კონსულტანტი ERM და დამხმარე ღონისძიებების კონსულტანტი PEM GmbH და GAMMA) წარმომადგენლები შეხვედრენ ჭოგნარის მოსახლეობას. დაგეგმილი ნაგავსაყრელის ტექნიკური დეტალების პრეზენტაციის შემდეგ, გაიმართა განხილვებით ქუთაისის მერიაში
- 2016 წლის 15 აპრილი - გაიმართა საჯარო საინფორმაციო შეხვედრა და დისკუსიები სოფელ ჭოგნარში. შეხვედრას ესწრებოდნენ კომპანიისა და დამხმარე ღონისძიებების კონსულტანტის (PEM GmbH, GAMMA) წარმომადგენლები. შეხვედრის თანათავაზდომარე იყო ნინო ჩხობაძე „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველოს“ წარმომადგენელი.
- 2016 წლის 16 ივნისი - ჭოგნარის მოსახლეობამ საქართველოს პრემიერ-მინისტრს ღია წერილი გაუგზავნა, სადაც რამდენიმე შეკითხვით მიმართა.
- 2016 წლის 6 ივლისი - საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ წარმოადგინა დეტალური პასუხები ხალხის მიერ დასმულ კითხვებზე.
- 2017 წლის 11 მაისი - თერჯოლის მუნიციპალიტეტში გაიმართა გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) საჯარო მოსმენა. შეხვედრას ესწრებოდნენ: კომპანიის ხელმძღვანელობა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის გუბერნატორები, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები და სოფელ ჭოგნარისა და გოდოგანის მოსახლეობა.

# ახალი რეგიონული ნაგავსაყრელი - ვინ რას აკეთებს?

## მშენებლობა და ოპერირება

საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია / რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო



საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია



საინფორმაციო-კომუნიკაციების განვითარების სამინისტრო

პროექტის განმახორციელებელია საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია. 2013 წლიდან, მას მფლობელობაში გადაეცა 54 არსებული მუნიციპალური ნაგავსაყრელი. სამომავლოდ, დაგეგმილია 8-10 ევროსტანდარტების შესაბამისი რეგიონული ნაგავსაყრელის მონყობა და მათი მართვა, აგრეთვე ყველა მუნიციპალური ნაგავსაყრელის დახურვა. იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ნაგავსაყრელი არის პირველი რეგიონული ნაგავსაყრელი, რომელიც უნდა ამენდეს.

- პროექტის განმახორციელებელი
- კონტრაქტის გაფორმება საკონსულტაციო კომპანიებთან
- კონტრაქტის გაფორმება სამშენებლო კომპანიებთან
- სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა
- მშენებარე ობიექტის საბოლოო დამტკიცება და მიღება
- ახალი ნაგავსაყრელის მფლობელი და ოპერატორი

## ტექნიკური მხარდაჭერა

აღმასრულებელი კონსულტანტი



საკონსულტაციო კომპანია ERM (ბუნებრივი რესურსების მართვა) ასრულებს საკონსულტაციო მომსახურებას ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის, გადამტვირთი სადგურებისა და სატრანსპორტო საშუალებების დაგეგმვის, ტენდერების უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის კუთხით.

- სანიტარული ნაგავსაყრელის დაპროექტება
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) მომზადება
- სატენდერო დოკუმენტების მომზადება სამშენებლო სამუშაოებისა და აღჭურვილობისთვის
- სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა

დამხმარე ღონისძიებების კონსულტანტი



აღნიშნული კომპონენტი ხორციელდება გერმანული საკონსულტაციო კომპანია PEM Consult-ის მიერ, (INTECUS GmbH და GAMMA Consulting-თან ერთად), რომელიც ასრულებს საკონსულტაციო მომსახურებას და ატარებს ტრენინგებს, საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის ორგანიზაციული და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით.

- ორგანიზაციული მართვის მხარდაჭერა და გაუმჯობესება
- ფინანსური მართვისა და ტექნიკური კომპეტენციების მხარდაჭერა და გაუმჯობესება
- PR-ის, კომუნიკაციისა და ცნობიერების ამაღლების კუთხით, შესაძლებლობების გაძლიერება.

## დაფინანსება

გერმანია - საქართველოს თანამშრომლობა, KfW




გერმანია - საქართველოს ორმხრივი თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში, KfW (გერმანიის განვითარების ბანკი) უზრუნველყოფს საქართველოსთვის სესხის გამოყოფას, 20 მილიონი ევროს ოდენობით

ევროკავშირის სამეზობლო ინვესტირების ფონდი



სამეზობლო ინვესტირების ფონდის ფარგლებში, ევროკავშირი გამოყოფს გრანტს, 2 მილიონი ევროს ოდენობით, პროექტის ტექნიკური მხარდაჭერის დაფინანსების მიზნით.

საქართველოს მთავრობა



პროექტის საერთო ღირებულება შეადგენს 26 მილიონ ევროს, საიდანაც 4 მილიონი ევრო არის საქართველოს მთავრობის კონტრიბუცია

## ბენეფიციარები

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონების 16 მუნიციპალიტეტი - დაახლოებით, 700 000 მოქალაქე

ქუთაისი, ამბროლაური, ლენტეხი, ონი, საჩხერე, სამტრედია, ჭიათურა, თერჯოლა, წყალტუბო, ზესტაფონი, ცაგერი, ხარაგაული, ხონი, ბაღდათი, ვანი, ტყიბული



პროექტი დაფინანსებულია KfW-სა და საქართველოს მთავრობის მიერ, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით

პროექტის ახორციელებენ წამყვანი კომპანიები, PEM Consult და ERM

ნაგავსაყრელის ოპერატორები

„დოკუმენტი მომზადდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში წარმოდგენილი მოსაზრებები არ ასახავს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას“